

„Mastercard-ის ეკო-მეგობრული გათამაშების“ რეგლამენტი და მონაცემების პირობები

საქართველოში წამახალისებელი გათამაშების „Mastercard-ის ეკო-მეგობრული გათამაშების“ (შემდგომში „გათამაშება“) ჩატარების წინამდებარე რეგლამენტი და მონაცემების პირობები (შემდგომში „ნესები“) განსაზღვრავს გათამაშებაში მონაწილეობის, საპრიზო ფონდის გათამაშების და გამარჯვებულთა გამოვლენის ზოგად ნესებს.

1. გათამაშების დამკვეთი და ორგანიზატორი

1.1 გათამაშების დამკვეთი: MasterCard Europe SA (შემდგომში „დამკვეთი“), რეგისტრირებული მისამართი: ბელგია, ვატერლოო 1410, შოსე დე ტერვევენ 198ა. Mastercard არის ტექნოლოგიური კომპანია გადახდების გლობალურ ინდუსტრიაში, რომელიც აერთიანებს 22 ათას ფინანსურ ინსტიტუტს 210-ზე მეტ ქვეყანაში და საბანკო/ფინანსური ორგანიზაციების მეშვეობით ახორციელებს საბარათე გადახდების ერთიან სისტემას

1.2 გათამაშების ორგანიზატორი: შპს „McCann Erickson“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404882766), რომელიც წარმოადგენს კომპანია MasterCard Europe SA-ის უფლებამოსილი წარმომადგენელი საქართველოს ტერიტორიაზე წამახალისებელი გათამაშების ჩატარების მიზნით. ორგანიზატორის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. # 71, IV სართული.

2. გათამაშების პარტნიორები: საქართველოში Mastercard-ის ბარათის მწარმოებელი ფინანსური ორგანიზაციები, ბარათის მწარმოებელი პარტნიორი ბანკები (შემდგომში - „პარტნიორები“):

- ✓ 1. სს „საქართველოს ბანკი“ ს/კ 204378869 (მაიდენტიფიცირებელი აბრევიატურა: (BOG))
- ✓ 2. სს „ქართუ ბანკი“ ს/კ 204891652 (მაიდენტიფიცირებელი აბრევიატურა: (CRT))
- ✓ 3. სს „ხალკ ბანკი“ ს/კ 205236537 (მაიდენტიფიცირებელი აბრევიატურა: (HBG))
- ✓ 4. სს „თიბისი ბანკი“ ს/კ 204854595 (მაიდენტიფიცირებელი აბრევიატურა: (TBC))
- ✓ 5. სს „ვეთიბი ბანკი“ ს/კ 202906427 (მაიდენტიფიცირებელი აბრევიატურა: (VTB))
- ✓ 6. სს „ლიბერთი ბანკი“ ს/კ 203828304 (მაიდენტიფიცირებელი აბრევიატურა: (LYB))
- ✓ 7. სს „პროკრედიტ ბანკი“ ს/კ 204851197 (მაიდენტიფიცირებელი აბრევიატურა: (PCR))
- ✓ 8. სს „ბაზისბანკი“ ს/კ 203 841 833 (მაიდენტიფიცირებელი აბრევიატურა: (BSB))
- ✓ 9. სს „ტერაბანკი ს/კ 204546045 (მაიდენტიფიცირებელი აბრევიატურა: (TER))
- ✓ 10. სს „კრედიტ ბანკი“ ს/კ 205232238 (მაიდენტიფიცირებელი აბრევიატურა: (CRD))
- ✓ 11. სს „ფაშა ბანკი“ ს/კ 404433671 (მაიდენტიფიცირებელი აბრევიატურა: (PSH))
- ✓ 12. სს „მისო ინტელექსპრესი“ ს/კ 202353176 (მაიდენტიფიცირებელი აბრევიატურა: (INT))
- ✓ 13. შპს „ფეი უნიქარდი“ ს/კ 404519455 (მაიდენტიფიცირებელი აბრევიატურა: (UNC))
- ✓ 14. შპს „მანიქო“ ს/კ 405272501 (მაიდენტიფიცირებელი აბრევიატურა: (MNQ))

3. გათამაშების მიზანი:

გათამაშების მიზანია მასტერქარდის ბარათების (მათ შორის Debit® MasterCard, MasterCard®, Maestro®, Unembossed, Standard, Business, Gold Platinum, World, World Elite) გამოყენების წახალისება და მასტერქარდით POS ტერმინალებზე და ონლაინ გადახდით ტრანზაქციათა გაზრდა.

4. გათამაშების მიზები:

Mastercard ეკო კამპანიის ფარგლებში ათამაშებს საქართველოში გაცემული მასტერქარდის პერსონალური ბარათების მფლობელებისათვის ეკოლოგიურ საჩუქრებს, აგრეთვე ეკო-საქველმოქმედო მიზნებისთვის ყოველი გათამაშებაში მონაწილე ტრანზაქციისთვის Mastercard -ისგან თანხა (ჯამურად 25 000 ევროს ოდენობით) ხეების დასარგავად გადაირიცხება Priceless Planet Coalition-ის ფარგლებში. აღნიშნული წარმოადგენს მასტერქარდის ქველმოქმედებას და გათამაშების მონაწილეთაგან რაიმე თანხის დაკავებას ან დამატებით ხარჯს არ უკავშირდება

5. გათამაშების ჩატარების ვადები:



5.1. გათამაშება ტარდება 2021 წლის 15 ივლისის 00:00:01 საათიდან 2021 წლის 31 აგვისტოს ს 23:59:59 ჩათვლით (შემდგომში „გათამაშების პერიოდი“), ხოლო საბოლოო გათამაშების თარიღია 2021 წლის 13 სექტემბერი 15:00 საათი. შესაბამისად გათამაშების სრული პერიოდია 2021 წლის 15 ივლისის 00:00:01 საათიდან 2021 წლის 13 სექტემბრის 15:00 საათის ჩათვლით.

5.2 გათამაშება ტარდება 1 ეტაპად:

- გათამაშება ჩატარდება და მსურველებს მონაწილეობის მიღება შეეძლებათ შუალედური: **2021 წლის 15 ივლისიდან - 31 აგვისტოს ჩათვლით (გათამაშების ყოველი დღე 00:00 საათიდან 23:59 საათამდე).**

6. გათამაშების ჩატარების ადგილი:

6.1. საქართველო, როგორც საქართველოში გაცემული Mastercard-ის ბარათებით განხორციელებული ადგილობრივი და საერთაშორისო ტრანზაქციების საბოლოო შედეგის დაფიქსირების ადგილი (საქართველოში გაცემული Mastercard-ის ბარათებით (მათ შორის Debit® MasterCard, MasterCard®, Maestro®, Unembossed, Standard, Business, Gold Platinum, World, World Elite) მსოფლიოს ნებისმიერ სავაჭრო და მომსახურების ადგილებში გატარება/გამოყენების საბოლოო აღრიცხვიანობა ხდება საქართველოს შესაბამის საბანკო სისტემაში).

7. გათამაშებაში მონაწილეობის მიღების უფლების მქონე პირები:

7.1. საქართველოს რეზიდენტი (საქართველოს მოქალაქე და მოქალაქესთან გათანაბრებული პირები - საქართველოს რეზიდენტები), რომელსაც შეუსრულდა 18 წელი (შემდგომში „გათამაშების მონაწილე“) და ფლობს საქართველოში გაცემულ Mastercard-ის ბრენდის (მათ შორის Debit® MasterCard, MasterCard®, Maestro®, Unembossed, Standard, Business, Gold Platinum, World, World Elite) ბარათს (შემდგომში „ბარათი“) და გათამაშების პერიოდში განხორციელებს მინიმუმ 20 ლარის ტრანზაქციას საქართველოში გაცემული ბარათით POS ტერმინალებზე და ასევე ონლაინ, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ და სრულიად ეთანხმება გათამაშების წესებს და პირობებს.

8. გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად არ დაიშვებიან:

- ✓ 18 წლამდე ასაკის ფიზიკური პირები ;
- ✓ არა-რეზიდენტი პირები;
- ✓ აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირები, რომლებსაც ეკრძალებათ გათამაშებაში მონაწილეობის მიღება.
- ✓ იურიდიული პირები.


9. გათამაშების საპრიზო ფონდი

გათამაშების საპრიზო ფონდის შემადგენლობა:

პრიზი	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით)	ჯამური ღირებულება (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით)
ავტომანქანა „TOYOTA C-HR SFX 4H“	1	101 125.00 ლარი	101 125.00 ლარი
ელექტრო სკუტერი Electric Scooter, Brand: RKS, Model: G48	8	1 250.00 ლარი	10 000.00 ლარი
ელექტრო მოპედი “Electric Motorcycle, RKS My Forse XS GT3”	10	3 625.00 ლარი	36 250.00 ლარი

საპრიზო ფონდი ჯამურად შეადგენს **147 375. 00** (ას ორმოცდაშვიდი ათას სამას სამოცდათხუთმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს, ღარიცხული სახით.

- ✓ დაუშვებელია პრიზის შესაბამისი ფულადი საფასურის გაცემა და გამარჯვებულის მიერ სხვისთვის გადაცემა.
- ✓ ორგანიზატორი კომპანია და დამკვეთი არ აგებს პასუხს გამარჯვებული პირის მიერ მიღებული საჩუქრის/პრიზის გამოყენებლობაზე, ნებისმიერი პირადი მიზეზით.



- ✓ ორგანიზატორი კომპანია პასუხს არ აგებს თუ გამარჯვებული დადგენილ ვადებში არ მიიღებს პრიზს. პრიზის დადგენილ ვადებში მიუღებლობისას - ის განუღდება/გაუქმდება.
- ✓ ორგანიზატორი კომპანია არ ანაზღაურებს პრიზების მიღება/გამოყენების რაიმე სხვა დამატებით ხარჯებს.
- ✓ პრიზები შეიძლება განსხვავდებოდეს სარეკლამო/საინფორმაციო მასალაზე ასახული გამოსახულებისაგან (განსხვავება ფერში, ზომაში ან სხვა დეტალებში).

10. გათამაშების ორგანიზაციული და საინფორმაციო უზრუნველყოფა

10.1. გათამაშების საინფორმაციო უზრუნველყოფისათვის გათამაშების ორგანიზატორი იყენებს სოციალურ ქსელის Facebook-ის და Instagram-ის, მასტერქარდის პირად გვერდებს:

- ✓ Facebook-ის გვერდზე: MastercardGeorgia (ლინკი: <https://www.facebook.com/MastercardGeorgia>)
- ✓ Instagram-ის გვერდზე: mastercard_georgia (ლინკი: https://www.instagram.com/mastercard_georgia/).

აღნიშნულ სოციალურ ქსელ(ებ)ში განთავსდება გათამაშების წესები და პირობები, გამოქვეყნდება გამარჯვებულთა ვინაობა. სარეკლამო/საინფორმაციო წყაროს აგრეთვე იყენებს გარე რეკლამა (ქ. თბილისის, ქ. ბათუმისა და ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტების მასშტაბით).

გათამაშების პერიოდში ინფორმაციის მისაღებად იმუშავებს ცხელი ხაზი: (+995) 32 2 207355

11. გამარჯვებულის გამოვლენის ადგილი, დრო და კომისიის წევრები:

11.1. გამარჯვებულთა გამოვლენა მოხდება: 2021 წლის 13 სექტემბრის 15:00 საათზე, მისამართზე: საქართველო, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი #116 (Toyota-ს ცენტრი).

11.2. გამარჯვებულის გამოვლენას დაესწრება მასტერ-ქარდის კამპანიის ორგანიზატორები და მესამე პირები (ორგანიზატორთან არა-ურთიერთდამოკიდებული პირი/პირები) - კომისიის წევრები.


12. გათამაშების ჩატარების მექანიზმი:

12.1. საქართველოს რეზიდენტი (საქართველოს მოქალაქე და მოქალაქესთან გათანაბრებული პირები - საქართველოს რეზიდენტები), რომელიც საქართველოში გაცემული Mastercard-ის ნებისმიერი ბარათით (მათ შორის Debit® MasterCard, MasterCard®, Maestro®, Unembossed, Standard, Business, Gold Platinum, World, World Elite) განხორციელებს მინიმუმ 20 ლარის ტრანზაქციას საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში განლაგებულ პოს-ტერმინალებში და ონლაინ შესყიდვების მეშვეობით, 2021 წლის 15 ივლისის 00:00:01 საათიდან - 2021 წლის 31 აგვისტოს 23:59:59 საათის ჩათვლით, ავტომატურად ხდება გათამაშების მონაწილე. გათამაშების პერიოდის განმავლობაში ტრანზაქციათა რაოდენობა შეუზღუდავია და დამოკიდებულია „გათამაშების მონაწილეთა“ აქტიურობაზე.

12.2. ყოველ 20 ლარი და ზემოთ განხორციელებულ ერთ ტრანზაქციაზე გათამაშების მონაწილეს ენიჭება ერთი ბილეთი და პრიზის მოგების შანსი.

12.3. ერთი დღის განმავლობაში ერთდღივივე წყაროდან - POS ტერმინალიდან შესაძლოა მხოლოდ 3 გადახდის/გატარების აღრიცხვა გათამაშებაში მონაწილედ ტრანზაქციად, რათა გამოირიცხოს გადახდის ხელოვნური გზით დაყოფა 20 ლარიან ტრანზაქციებად: აღნიშნული წესი არ ეხება ონლაინ გადახდებს.

12.4. პარტნიორი ბანკები, წინამდებარე წესების შესაბამისად გათამაშების მონაწილის მიერ ყოველ 20 ლარი და ზემოთ განხორციელებულ ტრანზაქციას ანიჭებენ მაიდენტიფიცირებელ კოდს და უგზავნიან ორგანიზატორს Excel-ის ფაილში. მიღებულ მონაცემებს ორგანიზატორი ათავსებს Excel-ის ერთიან ფაილში და ანიჭებს მაიდენტიფიცირებელ კოდს (ბანკის და ტრანზაქციის მაიდენტიფიცირებელი სიმბოლოთა ერთობლიობა), რომელსაც დაიტანს ბილეთზე ბილეთის ნომერთან ერთად.



12.5. სულ დაიბეჭდება 5 000 000 ცალი ბილეთი, ნუმერაციით 0 000 001-დან 5 000 000-ის ჩათვლით. წამახალისებელი გათამაშების ნებაართვის პირობების (რეგლამენტის) შესაბამისად, გათამაშების აქტივობის მიხედვით, მოხდება გათამაშების ბილეთების დამზადება, ხოლო გათამაშების მიმდინარეობის შესაბამისად, საჭიროებისამებრ გაიზრდება დასაბეჭდი ბილეთების რაოდენობა იმ ოდენობამდე, რა ოდენობის ტრანზაქციაც განხორციელდება გათამაშების სრული პერიოდის განმავლობაში. ბილეთების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში ორგანიზატორი აცნობებს სსიპ „შემოსავლების სამსახურს“ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

12.6. გათამაშების მონაწილეს შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერი რაოდენობის Mastercard-ის ბრენდის ნებისმიერი ბარათი. დამატებითი საბარათე ანგარიშიდან განხორციელებული ტრანზაქცია ჩაითვლება ძირითადი საბარათე ანგარიშიდან შესრულებული ტრანზაქციის ტოლფასად.

12.7. უშუალოდ ბილეთი არ გადაეცემა გათამაშების მონაწილეს, მას ანგარიშზე არსებული ბილეთების რაოდენობის გაგება შეუძლია კონკრეტული ბარათის საბანკო ამონაწერით: თითოეულ 20 ლარისა და ზემოთ ტრანზაქცია უტოლდება 1 (ერთი) ბილეთს.

12.8. გათამაშება გაიმართება 1 ეტაპად:

- გათამაშება გაიმართება 2021 წლის 13 სექტემბერს 15 საათზე, მისამართზე: საქართველო, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი #116 (Toyota-ს ცენტრი), გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს და დოლურაში მოთავსდება 2021 წლის 15 ივლისის 00:00:01 საათიდან 31 აგვისტოს 23:59:59 საათამდე გათამაშების წესების შესაბამისად მინიმუმ 20 ლარის და მეტი თანხით განხორციელებული ტრანზაქციების შედეგად გააქტიურებული ბილეთები;
- სულ თამაშდება 19 პრიზი, დოლურადან, შემთხვევითობის პრინციპით ამოღებული ბილეთებით, შემდეგი თანმიმდევრობით:
 - პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე ბილეთი იგებს სკუტერს;
 - მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე, მეორმეტე, მეცამეტე, მეოთხმეტე, მეოთხმეტე, მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე ბილეთი იგებს მოპედს;
 - ხოლო მე-19 ბილეთი იგებს ახალ ა/მანქანას ტოიოტა C-HR 2020.
- დოლურადან ამოღებული ბილეთის მონაცემებით (მაიდენტიფიცირებელი კოდით) ხდება კონკრეტული ბანკისა და ტრანზაქციის იდენტიფიცირება Excel-ის ერთიან ფაილის მეშვეობით გათამაშების ორგანიზატორის მიერ.
- გათამაშების მიმდინარეობისას გამოყოფილი იქნება ყველა პარტნიორი ფინანსური ორგანიზაციის (ბანკის) მიერ თანამშრომელი - ოპერატორი. დოლურადან ამოღებული ბილეთის მონაცემების შესაბამისად, შესაბამისი ბანკის ოპერატორს გადაეგზავნება იდენტიფიცირებული ტრანზაქციის ნომერი. აღნიშნული ტრანზაქციის მონაცემით - პარტნიორი ბანკის ოპერატორი ახდენს გამარჯვებული ტრანზაქციის განმარტაციელებელი პირის, შესაბამისი მასტერქარდი ბარათს მფლობელის იდენტიფიცირებას და უკავშირდება მას, რომელმაც უნდა: 1. უპასუხოს სატელეფონო ზარს (3 მცდელობის შემდეგ ზარი აღარ განხორციელდება), 2. ბანკის ოპერატორს დართოს ნება რათა საკუთარი პირადი მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი და ტელეფონის ნომერი) გადასცეს გათამაშების ორგანიზატორს და 3. გამოთქვას თანხმობა გათამაშებაში მონაწილეობაზე და პრიზის მიღებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ბარათის მფლობელი ვერ იქნება აღიარებული გამარჯვებულად. იმ პირის გათამაშების ბილეთი, რომელიც არ არის თანახმა აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენაზე და პრიზის მიღებაზე, უქმდება და დოლურადან ამოღებული იქნება შემდეგი, იგივე თანრიგის ბილეთი (მაგალითად: თუ გაუქმდა დოლურადან ამოღებული რიგით მე-8 ბილეთი ზემოაღნიშნული პირობების საფუძველზე, დოლურადან დამატებით ამოღებული იქნება მე-8 თანრიგის ახალი ბილეთი).



- გათამაშების ორგანიზატორი მიღებული ინფორმაციით უკავშირდება გამარჯვებულს. დოლურადან ამოღებული ის ბილეთი ითვლება გამარჯვებულად, თუ ბილეთით განსაზღვრული ტრანზაქციის განმხორციელებელი პირის მხრიდან მოხდება პირადი ინფორმაციის მონოდებაზე და პრიზის მიღებაზე თანხმობა გაცხადებული. დოლურადან ბილეთების ამოღება გრძელდება მანამ - სანამ არ გათამაშდება 19-ვე პრიზი და სანამ არ გამოვლინდება შესაბამისი გამარჯვებულები.
- გათამაშების დასრულების შემდეგ გაუთამაშებელი ბილეთები ამოღებული იქნება დოლურადან და მოხდება მათი უტილიზაცია, ხოლო მოგება-ხვედრილი ბილეთები კომისიის თანდასწრებით დაილუქება კონვერტში და გათამაშების ოქმთან ერთად დაარქივდება/შეინახება გათამაშების ორგანიზატორის არქივში.
- პრიზების გათამაშების პროცესის აუდიო-ვიდეო ჩანწრას კომისიის თანდასწრებით, უზრუნველყოფს გათამაშების ორგანიზატორი.
- გამარჯვებულთა შესახებ ინფორმაცია განთავსდება 2 დღის განმავლობაში „მასტერქარდის“ სოციალური ქსელის გვერდებზე:
 - ✓ Facebook-ის გვერდზე: MastercardGeorgia (ლინკი: <https://www.facebook.com/MastercardGeorgia>)
 - ✓ Instagram-ის გვერდზე: mastercard_georgia (ლინკი: https://www.instagram.com/mastercard_georgia/).
- გამარჯვებული უნდა გამოცხადდეს პრიზის მისაღებად გათამაშებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში პირადობის დამადასტურებელი მონუმბით მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #71 მე-4 სართული ოფისი 26.

13. გათამაშებაში მონაწილეობას არ იღებს:

- ✓ უნაღლო ანგარიშსწორება 2021 წლის 15 ივლისის 00:00:01-საათამდე და 2021 წლის 31 აგვისტოს 23:59:59 საათის შემდეგ;
- ✓ ბანკომატიდან თანხის გატანა;
- ✓ თანხის გადარიცხვა ბარათის ანგარიშიდან სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის ანგარიშზე
- ✓ სატელეფონო ანგარიშის შევსებით განხორციელებული ტრანზაქცია;
- ✓ კომუნალური და სხვა გადასახადებისათვის შესრულებული ტრანზაქცია;
- ✓ აზარტულ თამაშებში მონაწილეობასთან დაკავშირებული ტრანზაქციები;
- ✓ ნებისმიერი სახის უკანონო ტრანზაქციები.

* საბანკო ტრანზაქციებიდან ზემოაღნიშნული პირობებისამებრ გამოირიცხება ის MCC კოდები, რომელიც აისახება პარტნიორ ბანკსა და ორგანიზატორს შორის ხელშეკრულებაში.

13. ზოგადი დებულებები

- გამარჯვებულებს პრიზები გადაეცემა პირადობის მონუმბის წარდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე, პირადობის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 6 დღის განმავლობაში.
- პრიზების მიღებისას (საკუთარი პირადობის მონუმბის წარდგენით) გამარჯვებულების დამატებითი წერილობითი თანხმობით ორგანიზატორი უფლებამოსილია, რომ გამარჯვებულების ფოტო-ვიდეო მასალა გამოყენებული იქნება ნებისმიერი სახის სარეკლამო მიზნებისათვის, ნებისმიერ მედია და სოციალურ არხზე გამოსაყენებლად,
- პრეტენზია განიხილება გათამაშების მიმდინარეობისას და მისი დასრულებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #71 მე-4 სართული ოფისი 26.
- პრეტენზიის განხილვის წესი: პრეტენზია წარმოდგენილ უნდა იქნას წერილობითი ფორმით კომპანიის შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #71 მე-4 სართული ოფისი 26. პრეტენზიის წერილში, პრეტენზიის არსთან ერთად, წარმომდგენმა უნდა მიუთითოს მისი საცხოვრებელი მისამართი, სადაც სურს რომ მიიღოს კომპანიის პასუხი (გადაწყვეტილება) მის მიერ წარდგენილ პრეტენზიასთან დაკავშირებით. პრეტენზიების განხილვა მოხდება კომპანიის ადმინისტრაციის (იურიდიული, ფინანსური და აღმასრულებელი მენეჯმენტის დანაყოფების) მიერ, პრეტენზიის წარდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. პრეტენზიის წარმომდგენს

მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობება, პრეტენზიის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, პრეტენზიის წარმდგენის საცხოვრებელ მისამართზე საპასუხო წერილის გაგზავნის გზით.

- გამოვლენილი გამარჯვებულების შესახებ ინფორმაცია დაიდება MasterCard-ის Facebook-ის და Instagram-ის გვერდზე:
 - ✓ Facebook-ის გვერდზე: MastercardGeorgia (ლინკი: <https://www.facebook.com/MastercardGeorgia>)
 - ✓ Instagram-ის გვერდზე: mastercard_georgia (ლინკი: https://www.instagram.com/mastercard_georgia/).
- გათამაშებაში მონაწილეობის მიღება ნებაყოფლობითია. გათამაშების ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა შეგროვება-დამუშავებაზე პასუხისმგებელია ორგანიზატორი.
- გათამაშების მონაწილის პირადი ინფორმაცია: სახელი, გვარი, ელ-ფოსტა და ტელეფონის ნომერი, გამოყენებული იქნება მხოლოდ გათამაშების მიზნებისთვის და წაიშლება გათამაშების დასრულებიდან 3 თვის შემდეგ.

